პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 184 (12392)
სამშაბათი,
7
აგვისტო
1962 წელი
გამოცემის 46-ე წელი

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საზოგადოებრივი კვება — ყურადღების ცენტრში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის დადგენილება „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ". აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი 1959-61 წლებში რესპუბლიკაში 608 ერთეულით გადიდდა, შეიქმნა 22 ათასი დასაჯდომი ადგილი, 46 პროცენტით გაორმაგდა კერძების დამზადება. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაზე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გადაუვანილია ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე, გაფართოვდა კერძების ასორტიმენტი.

მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში. საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში საერთოდ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ მოსახლეობის მომსახურების დონე მკვეთრად ჩამორჩება მოთხოვნილებას.

ეს იმის შედეგია, რომ საზოგადოებრივი კვების ქსელი ძირითადად ფართოვდება წვრილ საწარმოთა — სასაუზმეების, ბუფეტებისა და ქალაქგარე რესტორანების გახსნის გზით. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დიდი, კეთილმოწყობილი სასადილოების ორგანიზაციის საკითხს. მთელ რიგ შემთხვევებში ქსელი სწორად არ არეს განლაგებული. ქალაქ თბილისის ახალშენებლობათა რაიონებში თითქმის არ არის კეთილმოწყობილი სასადილოები და კაფეები. ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში სულაც არ არის სასადილოები.

თბილისის და სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები საკმარისად არ აძლევენ სავაჭრო ორგანიზაციებს შესაფერის შენობებს ახალშენებლობებში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოსაწყობად.

დიეტური სასადილოებისა და საოჯახო სამზარეულოების ორგანიზაციის გეგმები ვერ შეასრულეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ.

არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა აუქმებენ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ისე, რომ არ იძლევიან შესაბამის შენობებს ახალ საწარმოთა გასახსნელად.

ცუდად სრულდება სასადილოების ქსელის განვითარების დავალებანი იმ საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომლებსაც ცეკავშირი ემსახურება. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემაში 5.120-ადგილიანი 128 სასადილოდან, რომლებიც 1959-61 წლებში უნდა გახსნილიყო, 1962 წლის 1 ივნისისათვის გაიხსნა მხოლოდ 1.800-ადგილიანი 48 სასადილო; ჭიათურიდან საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის გამოყოფილ შენობათა რემონტი და მოწყობა.

დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს დადგენილებას საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე გადაყვანისა და სამზადი ფაბრიკების ორგანიზაციის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველო, რომელმაც ამ მეთოდით მუშაობაზე გადაიყვანა საწარმოთა მხოლოდ 15,5 პროცენტი, ხოლო ქალაქებში ჭიათურასა და ტყიბულში სულაც არ დაუწყია სამზადი ფაბრიკების მშენებლობა.

თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და სხვა ხორცკომბინატები დიდი შეფერხებითა და შეზღუდული ასორტიმენტით აწვდიან ნახევარფაბრიკატებს სავაჭრო ორგანიზაციებს. სოხუმის ხორცკომბინატმა კი მიმდინარე წლის მაისში სავსებით შეუწყვიტა ნახევარფაბრიკატების მიცემა სოხუმის სასადილოების ტრესტს.

ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა და მუშათა მომარაგების სამმართველობა საკმარისად ვერ მუშაობენ იმ საკითხებზე, რომ გადიდდეს საკუთარი პროდუქციის ხვედრითი წონა საერთო ბრუნვაში. აგრეთვე გაუმჯობესდეს გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა, ბოსტნეული, თევზეული, რძისა და ბოღლეული კერძების დონის ამაღლების გზით.

ჯერ კიდევ ყველგან როდის უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა უპირატესი და შეუფერხებელი მომარაგება ხორცით, ფრინველით, თევზით, რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით, კვერცხითა და ზოგიერთი ბაღლეულეულით.

რესპუბლიკის მეტი წილი საბჭოთა მეურნეობები ვერ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აგვისტოს დადგენილებას და ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ სასადილოებს ხორცითა და რძით იმ ფონდების ფარგლებში, რომლებიც გამოუყო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ. ბევრ სასადილოში კერძების ასორტიმენტი ერთფეროვანია. დამზადებული საჭმელი უგემური და დაბალხარისხოვანია; მომხმარებლებს დამაკმაყოფილებლად არ ემსახურებიან. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წონაში და ანგარიშში მოტყუების, ფასების გადიდების, უფაქტურო საქონლის გაყიდვისა და ვაჭრობის წესების სხვა დარღვევათა ფაქტები. სასადილოები მოლიანად არ არიან უზრუნველყოფილი ჭურჭლით, ხელსაწყოებით, საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობით. ბევრი სასადილოს სანიტარული მდგომარეობა არ შეესაბამება საჭირო მოთხოვნებს.

ხამრეწველო საწარმოებთან, სასწავლებლებთან, საბჭოთა მეურნეობებთან არსებული მთელი რიგი სასადილოები ცუდ მდგომარეობაში არიან, საჭიროა მათი გადაუდებელი რემონტი, რეკონსტრუქცია, ცხელი წყლით მომარაგება, მაგრამ ამ საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს სასადილოთა მუშაობაში წესრიგის დასამყარებლად.

ცეკავშირის სისტემის მესამე კატეგორიის ბევრ სასადილოში, რომლებიც ქარხნების, ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს ემსახურებიან, სპირტიანი სასმელები იყიდება.

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთ საწარმოში ცუდად იყენებენ სავაჭრო-ტექნოლოგიურ მოწყობილობას.

კადრების შერჩევაში, განაწილებასა და მომზადებაში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ქალის შრომის დანერგვაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ტექნიკურ აღჭურვილობას, გამოყოფილი ფონდები უმნიშვნელოა და ვერ ფარავს სულ მცირედ მოთხოვნილებასაც კი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველო სისტემატურად ვერ უზრუნველყოფს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებისათვის სანიტარული ტანსაცმლის შეკერვას. 1961 წელს სამმართველომ ბამბეულის საერთო ფონდიდან ვაჭრობაც სამინისტროს დააკლო სანიტარული ტანსაცმლის 42 პროცენტი, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი — 31 პროცენტი.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ცუდად ემსახურება ტრანსპორტი, მათი განაცხადები ავტომანქანების გამოყოფის თაობაზე კმაყოფილდება მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც დიდი შეფერხებით. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ცარიელი ტარის გატანის მხრივ.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო, ამიერკავკასიის რკინიგზისა და სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები არ ახორციელებენ საკმაო ღონისძიებებს საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ხოლო პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები და პროფკავშირული ორგანიზაციები საჭირო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ მათ ამ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსისა და ამერიკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველოს უფროსის ყურადღება მიიპყრეს იმას, რომ დამაკმაყოფილებლად არ სრულდება ცალკეული პუნქტები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის დადგენილებისა „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ" და წინადადება მისცეს მათ:

უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი და განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის;

განავითარონ საზოგადოებრივი კვება, უწინარეს ყოვლისა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაფართოვდეს სასადილოებისა და ბუფეტების ქსელი სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, აგრეთვე შეიქმნას კეთილმოწყობილი სასადილოები, კაფეები და სასაუზმეები, სადაც არ გაიყიდება სპირტიანი სასმელები;

1962-65 წლებში დამატებით, ქსელის საერთო ზრდის წინათ დამტკიცებული გეგმის ფარგლებში, გახსნან 8 დიეტური სასადილო, აქედან სამი — ქალაქ თბილისში, თითო—აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში, ქალაქებში ქუთაისში, ფოთსა და რუსთავში. ამავე დროს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოქმედი დიეტური სასადილოებისა და ფაბრიკა-ქარხნების სასადილოებთან არსებული დიეტური განყოფილებების მუშაობა;

განიხილონ საკითხი საოჯახო სამზარეულოების მუშაობის შესახებ და აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი მოსახლეობის მომსახურებაში. 1963 წლის ბოლომდე უზრუნველყონ საოჯახო სამზარეულოების გახსნის გეგმის შესრულება;

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს საკუთარი პროდუქციის წილი საერთო საქონელბრუნვაში საჭმლის ხარისხის გაუმჯობესების, თევზეული, ბოსტნეული, ბურღულეული, ფქვილის ნაწარმის, რძის პროდუქტების კერძების ასორტიმენტის გაფართოების გზით აგრეთვე ღვინისა და არყის ნაწარმის გასაღების ხვედრითი წონის შემდგომი შემცირების გზით, ისე რომ არ დაუშვან ამ ნაწარმის გაყიდვა მესამე კატეგორიის სასადილოებში;

1963 წლის 1 აპრილამდე დაამთავრონ სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოს გადაყვანა ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ საკითხს, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოები პირველ რიგში უპირატესად და შეუფერხებლად მარაგდებოდნენ მაღალხარისხოვანი და ფართო ასორტიმენტის პროდუქტებით;

ფართოდ დანერგონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში პროგრესული მეთოდები, რომლებიც აჩქარებენ და აუმჯობესებენ მომხმარებელთა მომსახურებას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შემდგომი გადახდის მეთოდის შემოღებას სასადილოებში, კაფეებსა და თვითმომსახურების სასაუზმეებში, გაფართოონ სადილების შინ გაცემა, მოსახლეობისათვის ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიის ნაწარმის, აგრეთვე ამონემენტების მიყიდვა;

განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობის ეფექტიანი გამოყენებისათვის, არ დაუშვან მისი მოცდენა;

მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ მუშაობა კაღრების მომზადების, შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, სისტემატურად გაადიდონ ქალის შრომის ხვედრითი წონა საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკთა საერთო რიცხვში.

შეიმუშაონ და წლის დამლევამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს კულინარიულ სკოლებში მზარეულთა მომზადების ხარისხი იმ გზით, რომ მოეწყოს სპეციალური სკოლა-სასადილოები, როგორც საწარმოო სწავლების ბაზა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსი და ამერიკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველოს უფროსები და სავაჭრო ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელები გაფრთხილებული არიან, რომ მუშაობას მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებისათვის კვლავაც შეაფასებენ ამის მიხედვით, თუ როგორია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის მდგომარეობა.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა კომიტეტი მოვალენი არიან:

გამოუყონ სავალდებულო წესით საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს ახლად აშენებულ დიდ ადმინისტრაციულ სახლებსა და საცხოვრებელ მასივებში შენობები სასადილოების, კაფეების, საოჯახო სამზარეულოებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოთა მოწყობისათვის;

გაითვალისწინონ საცხოვრებელი მასივების, ფაბრიკების, ქარხნების, სასწავლებლების, ადმინისტრაციული სახლების დაპროექტების დროს შენობები საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოწყობისათვის, ამასთან პროექტები შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ორგანოებთან;

აუკრძალონ ყველა სამინისტროსა და უწყებას თვითნებურად დახურონ საზოგადოებრივი კვების საწარმოები, თუ ნაცვლად არ მისცემენ სხვა კეთილმოწყობილ შენობებს;

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოებრივი კვების ობიექტის ლიკვიდაციის საკითხი დააყენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების დირექტორებს ევალებათ:

1962-63 წწ. განმავლობაში უზრუნველყონ სათავსების გამოყოფა სასადილოებისა და ბუფეტებისათვის, რათა ამ საწარმოთა და სასწავლებლების მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები უზრუნველყოფილ იყონ ცხელი საჭმლით;

1962 წლის შესახებ კვარტალის განმავლობაში შეაკეთონ სასადილოების, ბუფეტების სათავსები, დაამტკიცონ ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობა, აგრეთვე ავეჯი და ჭურჭელი წელიწადში ორჯერ მაინც უზრუნველყონ პროფილაქტიკური რემონტი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო მოვალეა:

უზრუნველყოს სამზადი ფაბრიკების აშენებისა და ამუშავების დადგენილების შესრულება ჭიათურასა და ტყიბულში 1962-1963 წლებში;

1962-1963 წლებში მოაწყოს წვრილად დაფასოებული და მოხერხებული ტარით დაზარებული ხოსიასის, მაწვნიერ-ყველეულის, 50-გრამიანი შეკვრა ნამცხვრის, ბილფაფის, ხაჭოს კვერის, აგრეთვე დიეტური პროდუქტების, პურის ნაწარმისა და საკონდიტერო ხილის წყლების გამოშვება თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში გორსა და რუსთავში;

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოს წინადადება ეძლევა შეუფერხებლად უზრუნველყოს სავაჭრო ქსელი დაწესებული ასორტიმენტის ხორცის ნახევარფაბრიკატებით, აგრეთვე რეგულარულად მიაწოდოს სავაჭრო ორგანიზაციებს ღორის მოზარდეული გასასუქებლად;

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს წინადადება ეძლევა უზრუნველყოს სანიტარული ტანსაცმლის დროზე შეკერვა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მოვალეა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტზე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა განაცხადების სრული და დროული დაკმაყოფილება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა:

გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი და მიიღოს უფრო ქმედითი ღონისძიებანი სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასამყარებლად სასადილოებში, კაფეებში, სასაუზმეებში, რესტორანებში, საწყობებში, ბაზებში, მაცივრებში, ავტოტრანსპორტზე;

გაუწიოს ვაჭრობის ორგანოებს პრაქტიკული დახმარება იმ საქმეში, რომ დიეტური სასადილოები და სამრეწველო საწარმოთა და სასწავლებელთა სასადილოების დიეტური განყოფილებები კარგად მოემსახურონ ავადმყოფებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ევალება:

ქმედითი დახმარება გაუწიოს ვაჭრობის ორგანოებს სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების კეთილმოწყობილი სათავსებით უზრუნველყოფაში, მოსწავლეთა მომსახურების პროგრესული მეთოდების დანერგვაში, უწინარეს ყოვლისა ობინემენტების გავრცელებაში;

1962-63 სასწავლო წლიდან მნიშვნელოვნად გაადიდოს საშუალო სკოლების მოსწავლეთა მიერ საზოგადოებრივი კვების სპეციალობათა დაუფლება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო მოვალეა უზრუნველყოს, რომ საბჭოთა მეურნეობებმა შეუფერხებლად მიაწოდონ ხორცი და რძე თავიანთ სასადილოებს დაგეგმილი ფონდების ფარგლებში.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ევალება 1962 წლის დამლევამდე დადგას ტელეფონები თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის ყველა საოჯახო სამზარეულოში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის შესახებ სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადების განხილვის დროს უნდა გითვალისწინოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელისა და იქ ადგილების რაოდენობის ზრდა, აგრეთვე გადიდებული მოთხოვნები, რასაც ამ საწარმოებს უყენებენ, და მაქსიმალურად დაკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებანი.

საქართველოს პროფსაბჭომ ძირეულად უნდა გააუმჯობესოს, და გააძლიეროს საზოგადოებრივი კონტროლის მუშაობა, რადგან საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა, სარეკვიზიციო და სასადილოთა კომისიებმა დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატიურად იმუშაონ საზოგადოებრივი კვების საკითხებზე, ქმედითი დახმარება გაუწიონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში. (საქდესი).

საქართველოს პროფსაბჭოს III პლენუმი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს III პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მ. ლელაშვილისა — „რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცების დარგში პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", აგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნის ვ. ღოღობერიძისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის დ. ჯოლოკავას მოხსენებები.

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი.

მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჰამედ ზაჰირ შაჰი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა

ტაშკენტი, 6 აგვისტო. (საქდესი). დღეს ქაბულიდან სიმფეროპოლში მიმავალი ავღანეთის მეფე მისი უდიდებულესობა მუჰამედ ზაჰირ შაჰი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, გაჩერდა უზბეკეთის დედაქალაქში. ხანმოკლე შესვენების შემდეგ მუჰამედ ზაჰირ შაჰი და მისი თანმხლები პირები ტაშკენტიდან სიმფეროპოლს გაემგზავრნენ.

სიმფეროპოლი, 6 აგვისტო. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ავღანეთის მეფე მისი უდიდებულესობა მუჰამედ ზაჰირ შაჰი. მეფეს ახლავან: პრინცი შაჰ მაქმუდი, სარდარი აბდულ ვალი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთო პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი ნური ეთემადი, მეფის მრჩეველი კულტურის საკითხებში პროფესორი ჰალილულა ჰალილი, სამეფო კარის საოქმო სამმართველოს უფროსი მუჰამედ ალი და სხვა პირები.

იმავე თვითმფრინავით ჩამოვიდა ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაკიმ შაჰალამი.

საპატიო სტუმრის აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. კოვპაკი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი, ყირიმის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ნ. დრუჟინინი და სხვა ოფიციალური პირები.

ავღანეთის მეფე და მისი თანმხლები პირები სიმფეროპოლიდან დასასვენებლად გაემგზავრნენ ყირიმის სამხრეთ ნაპირზე.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტატისტიკის მუდმივ კომისიაში

1962 წლის 3-4 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტატისტიკის მუდმივი კომისიის პირველი სხდომა.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრი ქვეყნების: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებმა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტატისტიკის მუდმივმა კომისიამ განიხილა თავისი მუშაობის საორგანიზაციო საკითხები და დაამტკიცა კომისიის სამუშაო გეგმა 1962 წლის მეორე ნახევრისათვის.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა ერთსულოვნობის, მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ვითარებაში.

ატომური ომის წინააღმდეგ

ტოკიო, 6 აგვისტო. (საქდესი). დღეს ქალაქ ხიროსიმას მშვიდობის პარკში, იქ, სადაც 17 წლის წინათ აფეთქდა ამერიკელთა ატომური ბომბი, რომელმაც ერთ წამში სიცოცხლე მოუსწრაფა 200 ათასზე მეტ კაცს, გაიმართა გრანდიოზული ცერემონია ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად.

8 საათსა და 15 წუთზე, იმ მომენტში, როცა ქალაქში ატომური ბომბი აფეთქდა, მიჩუმებულ ხიროსიმაში ზარი დაირეკა. ქალაქის მერმა ჰამაიმ დაღუპულთა ძეგლის კვარცხლბეკთან მიიტანა ახალი სია ბომბის იმ მსხვერპლთა, რომლებიც წელს გარდაიცვალნენ. შემდეგ ცერემონიის 30 ათასი მონაწილის წინაშე მან წაიკითხა მშვიდობის დეკლარაცია, რომელიც შეიცავს მოწოდებას არ დაუშვან ხიროსიმას გამეორება, სწრაფად მიაღწიონ საყოველთაო და სრულ განიარაღებას. „ჩვენ დაჟინებით მოვუწოდებთ ყველა ხალხსა და სახელმწიფოებს, — ნათქვამია დეკლარაციაში,—მთელი მსოფლიოს ადამიანთა სოლიდარობის წაფუძველზე მიაღწიონ ატომური იარაღის სრულ აკრძალვას, არ დაუშვან ატომური ომი".

ხიროსიმას კრიალა ცაში აფრინდა ასობით მტრედი — ხიროსიმელთა და მთელი იაპონელი ხალხის მშვიდობისადმი მისწრაფების სიმბოლო.

ხიროსიმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონიები გაიმართა აგრეთვე ტოკიოში და იაპონიის სხვა ქალაქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა ცნობები

ბარდა: 320 ჰექტარი, მოსავალი — 42,1 ცენტნერი

ეს იყო მიმდინარე წლის ივნისში. შუა აზიიდან საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკში“ სტუმრად ჩამოვიდა ტაშკენტის ოლქის ვერხნი ჩირჩიკის რაიონის კოლმეურნეობა „პოლიტგანყოფილების“ თავმჯდომარე მან გიმ ხვანი, სოციალისტური შრომის გმირი. მას ყველაფერი აინტერესებდა მეურნეობაში, ხოლო განსაკუთრებით — ბარდის მოგლა-მოყვანა. იმ დროს ვრცელ, მზრუნველად დამუშავებულ მინდვრებში საშემოდგომო ხორბლის, ქერის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მწიფდებოდა. ბარდის ნათესების ხშირ ღია მწვანე ხალიჩას თეთრი წინწკლები ეფრქვია: ბარდა ყვაოდა.

— რა ხშირი ნათესია — აღტაცებას გამოთქვამდა სტუმარი, ნათესებს რომ ათვალიერებდა. — ასეთი ნათესები არ ჩაწვება. გასაოცარი ბარდაა!

უკვე მაშინ ბუმბერაზი კულტურის ნათესების გამო აღტაცებას გამოთქვამდნენ ბევრნი, რომლებიც „პეტროვსკში“ ჩამოდიოდნენ ყაზახეთიდან, რიაზანის, კურსკის, ვორონეჟის, ბელგოროდის, ტამბოვის ოლქებიდან. მადლიანმა მიწამ ასკეცად აანაზღაურა მიწათმოქმედის შრომა. **მოიყვანეს ბარდის უმაგალითო მოსავალი: 320 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 42,1 ცენტნერი მარცვალი, ხოლო მეურნეობის განყოფილების მეშვიდე ნაკვეთზე 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 52,5 ცენტნერი.**

ასეთი მოსავლის მოყვანა ადვილი როდია. წარმატებას აღწევს ის, ვინც იყენებს მაღალ აგროტექნიკას, მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას, გულმოდგინედ ზრუნავს მოსავლისათვის, ბარდის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკასა და ხერხებზე ბევრი რამ დაწერილია და თქმულა. და მაინც ამაზე კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ლაპარაკი, რადგან პრაქტიკაში იყენებენ სულ ახალ პროგრესულ ხერხებს, ფანდათანობით გროვდება უხვი მოსავლის მიღების გამოცდილება. ის, რაც გუშინ ზღვრული შესაძლებლობა იყო, დღეს ადგილს უთმობს უფრო სრულყოფილს, თვით ცხოვრებით რომ არის ნაკარნახევი. ბარდას ისევე, როგორც ყოველ სხვა კულტურას, მოსავლიანობის გადიდების უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვს. ამას დამაჯერებლად ცხადყოფს საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკის“ ახლანდელი გამოცდილება.

პრაქტიკიდან შემოწმებული აგროტექნიკა

წელს, ისევე როგორც წინათ, ბარდა საბჭოთა მეურნეობაში დათესეს აგვისტოში ღრმად მოხნულ, შემოდგომის შემდეგ მოსწორებულ მზრალში. მზრალს ამუშავებდნენ როგორც ნახევარანეულს. გაზაფხულზე ერთი დღის განმავლობაში მთელ 320 ჰექტარ ფართობზე დააკავეს ტენი. გაზაფხული კი წელს უჩვეულო იყო. თბილი ამინდები იდგა. ნიადაგი სწრაფად შრებოდა. არ შეიძლებოდა თესვისწინა კულტივაციისა და თესვის დაშორიშორების დაშვება. ამასთან ბარდა ყველაზე საადრეო სათესი კულტურაა. თუ გვიან დათესავ — ნათესებს მავნებლები და დაავადებანი მოეედება.

საბჭოთა მეურნეობაში ბარდას თესავდნენ ადრე — 12 აპრილიდან 15 აპრილამდე. მუშაობდა ბ. ს. გლუშკოვის, ი. ს. ერშოვის, ბ. ა. სერგეევის, ვ. მ. ალენიჩევის მექანიზებული რგოლების ექვსი სათესი აგრეგატი ვიწრომწკრივად სათესი მანქანებისა — „სუბ-48“. ვიწრომწკრივად თესვის წესი, რომელიც შარშან ყველაზე ეფექტიანი გამოდგა, გამოყენებულია მთელ ფართობზე. ბრუჰუსის წინაღმდეგ ბრძოლის მიზნით თესვის წინ მოახდინეს თესლის გაზაცია ქლორპიკრინით, ხოლო შემდეგ შეაფრქვიეს ჰექსაქლორანი. დათესეს ბარდა სამ დღეში, მოასწორეს ნიადაგი ხის ჰდეებიანი სატკეპნებით. აღმონაცენი დაფარცხეს. ეს საჭირო აგროხერხია. ფარცხვა სპობს ზედა ქერქს, ჭრის სარეველებს, რომლებიც ამ დროისათვის უკვე იზრდებიან.

საბჭოთა მეურნეობის ოთხ განყოფილებაში ჭარდას თესავენ რვა ნაკვეთზე. და ყოველ ნაკვეთზე მიღებულია სხვა და სხვა მოსავალი. განსხვავება არც თუ ისე დიდია, მაგრამ საგრძნობია — 7-8 ცენტნერი ჰექტარზე. ამასთან ყველა ნაკვეთის ნიადაგი ერთნაირია ნაყოფიერებით, ბარდას თესავდნენ ერთსა და იმავე დროს, დაახლოებით ერთნაირი იყო მოსავლის აღების ვადებიც.

მოსავალი ერთნაირი არ არის.

რატომ?

საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტები ბარდის სხვადასხვა მოსავლიანობას თესლბრუნვის ნაკვეთებზე უმთავრესად ორი მიზეზით ხსნიან: რა არის კულტურის წინამორბედი და როგორია თესლის თესვის ნორმები. რა გავლენა მოახდინეს მოსავლიანობაზე წინამორბედებმა? **ბარდისათვის ყველაზე უკეთესი წინამორბედია სიმინდი.** ეს დამტკიცებულია პრაქტიკით. პოლიტგანყოფილებების მეშვიდე ნაკვეთზე ბარდის წინამორბედი იყო სიმინდი. დაამუშავა იგი მექანიზატორმა ა. ფ. გვოზდოვსკიმ და შარშან მოიყვანა 500 ცენტნერი მწვანე მასა ჰექტარზე. ბარდის მოსავალი ამ ნაკვეთზე უმაგალითო იყო — 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 52,5 ცენტნერი მარცვალი. ხოლო ოქტომბრის განყოფილების მეშვიდე ნაკვეთზე ბარდის წინამორბედი იყო ქერი. მოსავალი უკვე ისეთი არ არის — 12 ცენტნერით ნაკლებია. **მეურნეობის მუშაკებმა გამოიყენეს გასული წლის გამოცდილება და ბარდის დიდი ნაწილი დათესეს ნასიმინდარზე. ამ განყოფილებაში** (მმართველი ა. ი. სინეგუბოვი, აგრონომი — ვ. ტ. ნიეეგოროდოვი) **მიღებულია ყველაზე უხვი მოსავალი საბჭოთა მეურნეობაში — 115 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 46,5 ცენტნერი ბარდა.** ხოლო სხვა განყოფილებებში, სადაც ბარდის წინამორბედი იყო ქერი, წიწიბურა, ჭარხალი, მოსავალი მიღებულია უფრო მცირე — 40,6 ცენტნერი ჰექტარზე.

სიმინდი საბჭოთა მეურნეობის პირობებში იძლევა მწვანე მასის საშუალო მოსავალს — 350-400 ცენტნერს ჰექტარზე. ნასიმინდარ ნაკვეთებზე პირობები ხელსაყრელია კოჟრის ბაქტერიების აზოტის ასათვისებელი მოქმედებისათვის. ეს ბაქტერიები ბარდის ფესვებზე ცოცხლობენ. ამრიგად, იქმნება გარემო, რომელიც საჭიროა ბარდის განვითარებისათვის.

ბარდა თავის მხრივ შეუნაცვლებელი წინამორბედია საშემოდგომო პურეულისათვის. მას აქვს თვისება დააგროვოს ნიადაგში აზოტი. ამასთან დამოკიდებულება ისეთია, რომ, რაც უფრო უხვია ბარდის მოსავალი, მით უფრო მეტი აზოტი გროვდება ნიადაგში. როცა მოსავალი შეადგენს 35-40 ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე მაგალითად, ბარდა ნიადაგში ტოვებს 100 კილოგრამ აზოტს — იმდენს, რამდენსაც შეიცავს 20 ტონა ნაკელი. **წელს „ვლის — 135“ ჯიშის საშემოდგომო ხორბალი, რომელიც ანეულზე დათესა ბარდის ნათესარზე, შესანიშნავ მოსავალს იძლევა — 40 ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე.**

და, ბოლოს. შაქრის ჭარხალი, რომელიც საშემოდგომო კულტურების წინამორბედი იყო, საბჭოთა მეურნეობაში მოჰყავთ 350 ცენტნერი ჰექტარზე. წელს მოსალოდნელია შაქრის ჭარხლის კიდევ უფრო უხვი მოსავალი.

ამრიგად, **მიწათმოქმედების სათოხნ სისტემაზე გადასვლა, ბარდის ფართოდ დანერგვა თესლბრუნვაში დიდ შესაძლებლობებს სახავს ძირითადი კულტურების — სიმინდის, საშემოდგომო პურეულისა და შაქრის ჭარხლის მყარი მოსავლის მიღებისათვის, ეს კულტურები კი ჰექტარ სახნავზე იძლევიან ყველაზე მეტ საკვებ ერთეულებს.**

ახლა შევეხოთ თესლის თესვის ნორმებს. საბჭოთა მეურნეობის შარშანდელმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ვიწრომწკრივად და მთლიანად თესვის დროს ჰექტარზე საჭიროა 1,2 მილიონი მარცვალი („რამონსკი—77“, „ულადოვსკი — 209“ ჯიშის საშუალო სიდიდის ბარდა და სხვ.). სათესი ნორმაა 270 კილოგრამი. მაშინ ნაკვეთზე, სადაც ბარდა დათესეს ვიწრომწკრივად, მიღებული იყო 42,2 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე.

წელს მთელი ბარდა ვიწრომწკრივად დაითესა. თესლის თესვის ნორმა გადიდდა 1,4 მილიონ მარცვლამდე ჰექტარზე — ეს 300 კილოგრამია. მაგრამ ყველა ნაკვეთზე როდი დაითესა ასეთი ნორმა. და აი შედეგი — **იმ ნაკვეთებზე, სადაც ჰექტარზე დაითესა 300 კილოგრამი თესლი, ბარდის მოსავალი მიღებულია 5-6 ცენტნერით მეტი, ვიდრე იქ, სადაც თესვის ნორმა არ აღემატებოდა 280 კილოგრამს.** „პოლიტგანყოფილების“ მერვე ნაკვეთზე გამოცდილების წესით 10 ჰექტარზე თესვის ნორმა დაიწესეს 900 ათასი ანგარიშიდან—1 მილიონი მარცვალი ჰექტარზე, წონით ეს არის 200 კილოგრამი. და მოსავალი ჰექტარზე არ აღემატებოდა 27 ცენტნერს.

მაშასადამე, ჩვენს მიწებს, თუ მათ გეგმაზომიერად გავანყოფიერებთ ორგანული და მინერალური სასუქებით, მივიღებთ ნიადაგში ტენის დაგროვების ღონისძიებებს, გამოვიყენებთ ისეთ ხერხებს, როგორიც არის საადრეო ღრმა მზრალად ხვნა, ნიადაგის დაფარცხვა ზვიმების შემდეგ მემოდგომაზე, თოვლის შეკავება და საადრეო თესვა, შეუძლიათ ასაზრდოონ ხშირი ნათესები.

სასუქების მნიშვნელობა

ბარდისათვის ნიადაგის გაპატიებას განსაკუთრებული თავისებურებანი აქვს. აი ზოგიერთი მათგანი. საჭირო არ არის ნაკელის უშუალოდ ბარდის ნათესებში შეტანა, რადგან ნიადაგის ჭარბი გაპატივება იწვევს მწვანე მასის სწრაფ განვითარებას, ამავე დროს ამცირებს ბარდის მოსავალს. ბარდა ამ დროს უფრო გვიან მწიფდება და უფრო ზიანდება ბუგრით. უკეთესია ნაკელი შევიტანოთ წინამორბედ კულტურის ნათესში.

თვითეულ ჰექტარზე, რომელიც ბარდას ეჭირა, შეტანილია სამი ცენტნერი ფოსფორიტის ფქვილი, ორი ცენტნერი სუპერფოსფატი, ერთნახევარი ცენტნერი ქლორიანი კალიუმი და ნახევარი ცენტნერი ამიაკის გვარჯილა. სასუქები

საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკის“ კალოზე.

• • •

შეჰქონდათ გაზაფხულზე კულტივაციის დროს. მარცვლის ფორმირების დროს ბარდას ბევრი ფოსფორი სჭირდება. მაგრამ ფოსფორის სასუქების შეტანის დროს საჭიროა სწორად იქნას შერჩეული ფოსფორიტის ფქვილისა და სუპერფოსფატის დოზა. საქმე ის არის, რომ სუპერფოსფატი (ადვილად ხსნადი სასუქი) ამჟავებს ნიადაგს. ეს უარყოფით გავლენას ახდენს კოჟრის ბაქტერიების განვითარებაზე. ამიტომ მისი დოზა უნდა შემცირდეს. ფოსფორიტის ფქვილი, პირიქით მჟავე რეაქციებს არ იძლევა. ამ სასუქს ძნელად ითვისებს სხვა მცენარეები, ხოლო ბარდა, რომელსაც განვითარებული ფესვოვანი სისტემა აქვს, მას ადვილად ითვისებს. ამრიგად, მცენარეების პირველადი გამოკვებისათვის შეაქვთ ორი ცენტნერი სუპერფოსფატი, ხოლო ძირითადი გამოკვებისათვის — სამი ცენტნერი ფოსფორიტის ფქვილი. ცილის შექმნისათვის ბარდას ბევრი აზოტი სჭირდება. მაგრამ იმის გამო, რომ ბარდის ფესვებზე კოჟრის ბაქტერიები ცოცხლობენ, რომლებსაც უნარი აქვთ ჰაერის აზოტი გარდაქმნან მცენარეებისათვის ასათვისებელ ფორმებად, ის არათუ არ აღარიბებს ნიადაგს აზოტით, არამედ, პირიქით, ამდიდრებს მას. მაგრამ თვით მცენარის განვითარების პირველად პერიოდში მას სჭირდება აზოტი. საბჭოთა მეურნეობაში, როგორც წესი, ის მცირე დოზებით შეაქვთ — 50 კილოგრამი ამიაკის გვარჯილა ჰექტარზე.

წელს ბრუჰუსთან ბრძოლის მიზნით გამოყენებულია პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი. ყვავილობის პირველად სტადიაში ხდება ბარდის ნათესის დამტვერვა თვითმფრინავით 12-პროცენტიანი დუსტით, ანგარიშით 20 კილოგრამი ჰექტარზე. უფრო გვიან, ბარდის მთლიანი ყვავილობის სტადიაში, ხდება ნათესების შესხურება დუსტით (დუსტის ასეთსავე დოზას ხსნიან 50 ლიტრ წყალში). გულდასმით ანალიზის შემდეგ ბრუჰუსი ბარდაში არ აღმოჩენილა.

საჭირო მოსავლის ასაღები კარგი მანქანები

ბარდის აღება განსაკუთრებით რთული საქმეა. მისი ვადების გაცდენა არაფრით არ შეიძლება. დანაკარგები რომ არ დაუშვათ, საბჭოთა მეურნეობაში გამოიყენეს მოსავლის აღების ყველა საშუალებანი. მოსავლის აღებას აწარმოებდნენ ოთხი „ჟბა-3,5“ მარკის სამკელი მანქანა და შვიდი სათიბი მანქანა, რომლებიც ლგოვის საცდელი სადგურის სამარჯვით იყო მოწყობილი.

წელს საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების დროს პირველად გამოიყენეს სამმკელიანი სათიბი მანქანები. ბარდის ასაღებად ისინი ძველმა მექანიზატორებმა ს. ი. ნალიკინმა და ვ. მ. სამაშინმა გადააკეთეს. ეს სათიბი მანქანები უფრო მყარი და მუშაობაში სიმედოდა. და კიდევ ერთი სიახლე. წინათ სათიბი მანქანის საჭელი აპარატი მოქმედებაში მოჰყავდა ბორბლებს. დაბა ნელი სვლით მუშაობდა და მოძრაობის აჩქარება შეუძლებელი იყო. ბარდის ხშირი მასა ცუდად იჭრებოდა. აგრეგატები ხშირად ჩერდებოდა. საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა სათიბი მანქანების ამძრავები გადააკეთეს ისე, რომ დანის ბარბაცა მოძრაობაში მოჰყავდა არა სათიბი მანქანის ბორბალს, არამედ ტრაქტორის სიმძლავრის ასართმევ ლილვს. დანის მოძრაობის სიჩქარე ახლა დამოკიდებული არ არის აგრეგატის მოძრაობის სიჩქარეზე. დანა მუშაობს უფრო ჩქარა, მასა უკეთ იჭრება. ამ პრინციპით მოწყობილი ყველა სათიბი მანქანა კარგად მუშაობდა.

პირველად ბარდის ასაღებად იყენებენ პარკოსნების სამკელ ახალ მანქანებს „ჟბა-3.5“. ეს კარგი მანქანებია და მშრალ ამინდში შეუჩერებლად მუშაობენ. მაგრამ წლევანდელი მოსავლის აღება არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა, საჭელი აპარატი ნედლი მასით იტენებოდა. გაჩერება გარდუვალი იყო. ახალ სამკელ მანქანებს სხვა სუსტი მხარეებიც აქვს: ხშირად იმტვრევა ტარაბუა, ლიფტერები. ბარდის უკანასკნელ ჰექტარებს ჩვეულებრივად ცელავენ, როცა მარცვალი სრულ სიმწიფეს აღწევს. ხოლო ექსცენტრიკული ტარაბუას სწრაფი ტრიალი ცელვის დროს პარკოსანთა ნაწილს გამოლეწავს ხოლმე. ახალი პარკოსანთა სამკელი მანქანები საბოლოო დამუშავებას მოითხოვს.

ცენტნერი ბარდა — 2 მანეთი და 80 კაპიკი

თუ რამდენად დიდია ბარდის მოვლა-მოყვანისაგან მიღებული ეკონომიური ეფექტი, ცნობილია ყველასათვის, ვინც ნამდვილად ამუშავებს ამ კულტურას.

საბჭოთა მეურნეობაში შეჯამებულია საბოლოო შედეგები. **თუ თითელი პროდუქციის რეალიზაციას მოახდენს, მეურნეობა მიიღებს 474.008 მანეთ წმინდა მოგებას. გარდა ამისა, მეცხოველეობას დიდ სარგებლობას მოუტანს ნამჯა.** მისი დიდი ნაწილი დასილოსდება სიმინდთან ერთად. წვნიან საკვებში გაიზრდება ცილის შემცველობა. ეს კი ძალიან დიდმნიშვნელოვანია პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

წინასწარი გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ **ერთი ჰექტარი ბარდის მოვლა-მოყვანისათვის** (ხარჯები შეიცავს თესლის, საწვავის ღირებულებას, საამორტიზაციო გადარიცხვებს, მუშების შრომის ანაზღაურებასა და ზედნადებ ხარჯებს) **საბჭოთა მეურნეობაში დახარჯულია 118 მანეთი.**

(მასალა მოამზადა ლიპეცკის საოლქო გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციამ).

(„სელსკაია ჟიზნ“, 5 აგვისტო).

ბარდის ფასი

საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციამ ბარდის ფასი ასეთი დააწესა: ერთ ტონა ბარდის ფასად 1 ტონა ნაკელი ითვლება. ეს ფასი ეფუძნება ბარდის ბიოლოგიურ ეფექტიანობას. ბარდა ნიადაგს ამდიდრებს ორგანული ნივთიერებით, ამ ორგანულ ნივთიერებას ბაქტერიები ანაერობულ პირობებში ანაერობულ ბაქტერიებად ანაერობულ ბაქტერიებად ანაერობულ ბაქტერიებად

ბაჭონ სჭელეს ლაბირინთები

ჟენევა, 3 აგვისტო. საკადესის სპეც. კორესპონდენტი ი. მაზორი იუწყება:

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დღეანდელ სხდომაზე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა სავსებით ამხილეს მანევრები, რომლებითაც დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობდნენ როგორღაც გაამართლებინათ თავიანთი უარისყმა იმის გამო, რომ პირველ ეტაპზე განხორციელდეს ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა სრული ლიკვიდაცია და შეწყდეს მათი წარმოება, და დაესაბუთებინათ ამერიკის წინადადებანი ამ საშუალებათა 30 პროცენტით შემცირების შესახებ, რაც სრულებითაც არ აღმოფხვრის ატომური ომის საფრთხეს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები სტელეტა გოდბერი წარსულ სხდომაზე და იტალიის წარმომადგენელი კავალეტი დღეს ცდილობდნენ დამტკიცებინათ, თითქოს არ არის შესაძლებლობა ზუსტად განვასხვაოთ მიტანის საშუალებანი ჩვეულებრივი იარაღისაგან და თითქოს შეიარაღებათა მთელ გამაში იყოს „ბინდის ზონა“, რადგან არის ბევრი სახეობის იარაღი ორმაგი დანიშნულებისა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიტანის საშუალებადაც და ჩვეულებრივ იარაღადაც.

რუმინეთისა და პოლონეთის წარმომადგენელმა დ. მაკოვესკუმ და მ. ლიახსმა თავიანთ გამოსვლებში ცხადყვეს, თუ როგორია ნატოს ქვეყნების დელეგაციათა მანევრების ნამდვილი მიზნები. ეს მანევრები დაწვრილებითი ანალიზით გაანუტა სხდომის დასასრულს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ზორინმა.

იგი უწინარეს ყოვლისა შეეხო ორმაპრინციპული ხასიათის განსხვავებას, რასაც შეიცავენ საბჭოთა წინადადებანი პირველ ეტაპზე ყველა საშუალების ლიკვიდაციის შესახებ და ამერიკის წინადადება პირველ ეტაპზე ამ საშუალებათა 30 პროცენტით შემცირების შესახებ.

ჩვენი წინადადებანი, თქვა ვ. ზორინმა, ითვალისწინებენ ატომური თავდასხმის საფრთხის აღკვეთის რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელებას პირველ ეტაპზე და, მაშასადამე, მიზნად ისახავენ ნამდვილ განიარაღებასა და მშვიდობის განმტკიცებას.

„ბ-ნ სტელეს მიერ მთელი რიგი სავსებით ხელოვნური საკითხების დაყენება და გამომგონებლობა რიტორიკის დარგში, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ფორმულით „ბინდის ზონების“ შესახებ, — განაცხადა ვ. ზორინმა, — როგორც ჩანს, მიზნად ისახავს ჩამოაშოროს კომიტეტი იმას რომ არსებითად განიხილოს პირველ ეტაპზე განიარაღების პროგრამა, განიხილოს არსი ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციისა მიტანის ყველა საშუალების ლიკვიდაციის საკითხში, რომელიც უმნიშვნელოვანესი რგოლია იმ ამოცანის გადაჭრაში, რომ აღიკვეთოს ატომური ომის საფრთხე განიარაღების დასაწყისშივე.

მაგრამ, რამდენადაც ბ-ნმა სტელემ გვთხოვა ახსნა-განმარტება მთელ რიგ საკითხებზე, რისთვისაც დაიმოწმა, რომ უამისოდ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას თითქოს უძნელდება დაიკავოს სამოლო პოზიცია განსახილველ პრობლემაში, ჩვენ მზად ვართ მივცეთ ზოგიერთი ახსნა-განმარტება, რომელთა მომზადებაში ვსარგებლობდით ჩვენი დელეგაციის სამხედრო მრჩეველის დახმარებით.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სრულიად გარკვევით ვთქვათ, რომ ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა მთელ გამაში არ არის არავითარი ბინდი. მიტანის ყველა საშუალება შეიძლება გაყოთ მხოლოდ ორ კატეგორიად: მიტანის საშუალებანი, რომლებიც სპეციალურად შექმნილია ატომური საბრძოლო მუხტისათვის, და მიტანის საშუალებანი, რომლებიც შექმნილია ისე, რომ საშუალებას იძლევიან ჰქონდეს როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი საბრძოლო ნაწილი (ორმაგი დანიშნულების იარაღი).

უპასუხა რა სტელეს მტკიცებაზე, რომ ატომური იარაღის მიზნთან მიტანისათვის შეიძლება ზოგიერთი სახეობის ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენება, თუ მათ სპეციალურად გადავაკეთებთ, ან თუნდაც ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება, როგორიც არის ხომალდები და არასამხედრო თვითმფრინავებიო, ვ. ა. ზორინმა განაცხადა: თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ყოველი ჩვეულებრივი სახეობის შეიარაღება ატომური იარაღის წარმოების ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად შეიძლება გახდეს მიტანის საშუალება, ეს მხოლოდ ადასტურებს ჩვენს — და არა მარტო ჩვენს — მოთხოვნას იმის შესახებ, რომ საყოველთაო და სრული განიარაღება განხორციელდეს ზუსტად დადგენილ მოკლე ვადებში რა თქმა უნდა, თუ გავაჭიანურებთ განიარაღების პროგრამას, ერთ ან თუნდაც რამდენიმე თაობის მანძილზე. ამ დარგში, იქნებ შეაძლებელი გახდეს შეიქმნას პისტოლეტის ვაზნაც ატომური მუხტით.

ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ ახლა საარტილერიო-ნაღმსატყორცნ სისტემებს შორისაც კი ცოტა არის ისეთი, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ატომური საომარი მასალები. სისტემების დიდი უმრავლესობა. როგორც უნდა იყოს მათი დანიშნულება და სადაც უნდა იყოს დადგმული, არ არის მომარჯვებული და არ შეიძლება, ასე ვთქვათ, კუსტარული გზით მოვიმარჯვოთ ატომური მუხტის სასროლად.

იგივე შეიძლება ითქვას, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ა. ზორინმა, ხომალდებზე როგორც მიტანის საშუალებებზე.

რაც შეეხება სამოქალაქო თვითმფრინავებს, რომლებიც, როგორც ბ-ნი სტელე ამტკიცებს, ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ატომური იარაღის მიტანის საშუალებაო, ვ. ა. ზორინმა მოაგონა დამსწრეთ, რომ, გაითვალისწინა რა ასეთი თუმცა ნაკლებდასაჯერებელი შესაძლებლობა, სწორედ საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა ის აზრი, რომ სახელმწიფოთა სრული უშიშროების უზრუნველყოფისათვის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში შენარჩუნებული იქნეს საჰაერო თავდაცვის საშუალებები: გამანადგურებელი ავიაცია, საზენიტო რაკეტები და საზენიტო არტილერია.

შემდეგ ვ. ა. ზორინი შეეხო გოდბერის მიერ წარმოდგენილ სამუშაო დოკუმენტებს: „წინასწარი გამოკვლევა პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია იმ რაკეტების მოსპობასთან, რომლებსაც იყენებენ ატომური იარაღის მიტანის საშუალებად“ და „წინასწარი გამოკვლევა პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ატომური იარაღის მიტანის ზოგიერთი საშუალების მოსპობის შემოწმებასთან“

— ინგლისის სამუშაო დოკუმენტებში, —თქვა მან, — ჩვენ აღმოვაჩინეთ, უწინარეს ყოვლისა, მთელი გვერდები მეცნიერულისებრი ტექსტისა, რომელიც შეიცავს აბსოლუტურად აშკარა დებულებებს რომლებიც არავითარ განხილვას არ მოითხოვენ. მაგალითად, ინგლისის პირველი დოკუმენტის მე-12 პარაგრაფში დაწვრილებით დასაბუთებულია, რომ საჭიროა ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა მოსპობის ინსპექცია. განა ვინმე ამის წინააღმდეგია? რა თქმა უნდა, არავინ.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის დოკუმენტებში დასმულია არა მარტო ხელოვნური საკითხები, არამედ არის ზოგი რამ, რაც შეიძლება თავის დროზე გამოიყენონ, მაგალითად, საკითხი რაკეტების მოსპობის ორი-სამი შესაძლო მეთოდის შესახებ: მათი გაშვების საშუალებით მაგალითად, ოკეანეში ისე, რომ არ ექნეთ ატომური მუხტი და ადგილზე მოსპობის გზით. მაგრამ ეს საკითხები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სერიოზული შესწავლის საგანი გახდეს კომიტეტის მუშაობის ამ სტადიაზე. მართლაც, რა აზრი აქვს კამათს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა 50,30 ან 70 ინჟინერი და მუშა წელიწადში 500 თვითმფრინავის მოსასპობად, თუ ჩვენ არ შეეთანხმებულვართ იმის გამო, რომ ყველა ეს თვითმფრინავი უნდა მოისპოს პირველ ეტაპზე?

ამის მიხედვით, აღნიშნა ვ. ა. ზორინმა, მხოლოდ განმტკიცდა ჩვენი შთაბეჭდილება, რომ ინგლისის დოკუმენტები წამოაყენეს არა იმისათვის, რომ გაეადვილებინათ კომიტეტის მუშაობა, წინწაეწიათ იგი, არამედ იმისათვის, რომ სხვა მიმართულებით წარემართათ საქმე.

დასასრულ ვ. ზორინმა განაცხადა, რომ წინსვლა მუშაობაში იმ მუხლების შესათანხმებლად, რომლებიც ატომური იარაღის მიტანის საშუალებებს შეეხება, შეიძლება უზრუნველვყოთ მხოლოდ იმ გზით, თუ სერიოზულად, კონსტრუქციულად განვიხილავთ ამ საშუალებათა პირველ ეტაპზევე სრული ლიკვიდაციის საკითხს. ასეთი კონსტრუქციული განხილვა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ხელს აიღებენ ამ საკითხში თავიანთ შეურიგებელ პოზიციაზე, რომელსაც საერთო არა აქვს რა განიარაღების ინტერესებთან, და დაადგებიან ურთიერთმისაღებ ვადაწყვეტილებათა მიღწევის გზას. საბჭოთა კავშირმა მარტო უკანასკნელ კვირეებში კომიტეტის მუშაობის განახლების შემდეგ მთელ რიგ საკითხებში გითვალისწინა დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილები. მთელი მსოფლიო მოელის დასავლეთის სახელმწიფოთა სასასუნო ნაბიჯებს. თუ ასეთი სასასუნო ნაბიჯები არ იქნა, საქმე წინ ვერ წავა.

ვ. ზორინის გამოსვლის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ელეგრაფი გვაცყობინებს



□ **5 აგვისტოს** კუბის მრეწველობის სამინისტროში ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირი კუბის რესპუბლიკას დახმარებას გაუწევს სპეციალისტთა კადრების მომზადებაში.

საბჭოთა კავშირ-კუბის ახალი შეთანხმება ხელს შეუწყობს ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

□ **4 აგვისტოს** ტოკიოში დამთავრდა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, ატომური ომის წინააღმდეგ ბრძოლის მე-8 საერთაშორისო კონფერენციის დელეგატთა ნასაწარი სხდომები. სამოლო სხდომაზე სარედაქციო კომისიის თავმჯდომარემ წაიკითხა მოხსენება, რომელშიც შეჯამა კონფერენციის დღის წესრიგის საკითხებზე დელეგატთა შორის აზრთა გაზიარების შედეგები.

□ **ინდოეთის** პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა ნეიველში, მადრასის შტატში, 5 აგვისტოს გახსნა სითბური თბოელექტროსადგური, რომელიც, ისევე როგორც ბჰილაის მეტალურგიული ქარხანა, ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია.

^ **ნიუ-იორკი.** მიღებული ცნობებით სამხრეთ ვიეტნამის პარტიზანებმა ხელში ჩაიგდეს ზღვისპირა ქალაქი ჰამტანი, რომელიც საიგონის აღმოსავლეთით ას კილომეტრ მანძილზე მდებარეობს.

ზემო ვოლტის რესპუბლიკა

ცნობა

5 აგვისტოს შესრულდა ზემო ვოლტის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე წლისთავი.

ზემო ვოლტა მდებარეობს დასავლეთ აფრიკის ცენტრში და ესაზღვრება სპილოს ძვლის ნაპირს, განას, მალის, ტოგოს, დაგომეასა და ნიგერს. ამ ქვეყნის ფართობი

370 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 4,5 მილიონი კაცი. დედაქალაქია უაგადუგუ.

გასული საუკუნის დამლევს საფრანგეთის ჯარებმა ხელთ იგდეს ზემო ვოლტის ტერიტორია და იმ დროს არსებული სამეფოს გამგებელს მოსის თავს მოახვიეს ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ. ზემო ვოლტის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, სახელწოდება, პირველად გაჩნდა 1919 წელს, მაგრამ 1932 წელს ზემო ვოლტის ტერიტორია ერთმანეთში გაიყვეს მეზობელმა ქვეყნებმა. 1947 წელს ზემო ვოლტა აღორძინდა საფრანგეთის კოლონიის სახით. ახალი კონსტიტუციის შესახებ რეფერენდუმის შემდეგ ზემო ვოლტა 1958 წლიდან რესპუბლიკა გახდა, თუმცა დარჩა საფრანგეთის გაერთიანებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების გამო საფრანგეთი იძულებული გახდა ეცნო ზემო ვოლტის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რომელიც გამოცხადდა 1960 წლის 5 აგვისტოს.

ზემო ვოლტა ეკონომიური თვალსაზრისით აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა. ამაზე ზეგავლენა იქონია კოლონიზატორთა მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ. მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. ძირითადად ეს არის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი საწარმოები. მოსახლეობის 95 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, რომელშიც გადამწყვეტ როლს მცირეოვლეობა ასრულებს. ზემო ვოლტის წიაღი ნაკლებად არის შესწავლილი და თითქმის არ მუშავდება, თუმცა აღმოჩენილია ოქროს, ურანის, მანგანუმის, სპილენძის საბადოები.

კონსტიტუციის მიხედვით ზემო ვოლტა საპრეზიდენტო ტიპის რესპუბლიკაა. პრეზიდენტი მორის იამეოგო პრემიერ-მინისტრაცაა. იგი ვოლტის მმართველი პარტიის — დემოკრატიული გაერთიანების გენერალური მდივანია. (საკადესი).

ერთობისა და მეგობრობის ნიშნით

ბუქარესტი, 4 აგვისტო, (საკადესი). ბუქარესტის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „ერთობისა და მეგობრობის ნიშნით“. კრებული მიძღვნილია საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტისადმი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით 1962 წლის ივნისში. კრებულში დაბეჭდილია რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა სტატიები, ერთობლივი კომუნიკე და სხვა მასალები, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

წიგნი ილუსტრირებულია უამრავი ფოტოსურათით.

ფესტივალგე

5 აგვისტოს ჰელსინკი

ჰელსინკი, 5 აგვისტო. (საკადესის სპეც. კორ). განთიადიდან განთიადამდე ჩქეფს ფესტივალის ახალგაზრდული ენერგია. მოვლენებით აღსავსეა მისი ყოველი დღე. მსოფლიოს ახალგაზრდობა იხილავს თავის საჭირბოროტო პრობლემებს, ერთმანეთს ეჯიბრება სპორტში, უჩვენებს თავის ხელოვნებას.

ფესტივალი გამსჭვალულია ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეით. ეს არის მისი გაელენის ძალა, სიჭაბუკის ხმა გაისმა მთელ პლანეტაზე, მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებს შეემატა ადამიანთა ახალი არმია. ფესტივალი აღნიშნავს ქალიშვილთა დღეს. დღიდანვე ფესტივალის ახალგაზრდა მოწაწილენი—ორმოცდაათზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ. ჰელსინკის კულტურის სახლის ვრცელ დარბაზში. ისინი ამ მოვიდნენ, რათა ერთმანეთს გაუზიაროონ აზრი აქტუალურ საკითხებზე, გამოთქვან ყოველივე, რაც მათ აღელვებს. და გაიმართა საინტერესო, წარმტაცი საუბარი.

ალჟირიდან, კუბიდან, გვინეიდან, ერაყიდან, სირიიდან, ურუგვაიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ქალიშვილები ლაპარაკობდნენ თავისუფალი შრომის სიხარულზე, იარაღით ხელში ბრძოლაზე თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, ქალთა უთანასწორო მდგომარეობაზე კაპიტალის ქვეყნებში.

საღამოს კონსერვატორიაში გაიმართა დიდი საესტრადო კონცერტი, რომელიც ქალიშვილებს მიეძღვნა.

დღის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო სპორტის, ტანვარჯიშის, ცეკვის დიდი დღესასწაული, რომელიც გაიმართა ოლიმპიურ სტადიონზე. ღამაზი იყო ამ დღესასწაულის სურათი.

ორმოცი ქვეყნიდან ჩამოსული მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავენი, მსახიობები გამოდიოდნენ ოლიმპიურ სტადიონზე, ოპერის თეატრში, სპორტის სახლში, კონსერვატორიაში, ცირკში, ჰელსინკის პარკებში. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მხატვრული კონკურსების ლაურეატთა დიდმა კონცერტმა ოპერის თეატრში. ფესტივალის მონაწილენი და ჰელსინკის მცხოვრებნი აღფრთოვანებით შეხვდნენ შემსრულებლებს, ვისი ოსტატობაც აღინიშნა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

დამთავრდა ფესტივალის სტუდენტთა პროგრამა. მისი მეგობრები იყო ბამოსახოზვარი საღამო სტუდენტთა საერთაშორისო კლუბში.

დღისით იმავე კლუბში მიმდინარეობდა სამეცნიერო კონფერენცია ბიოლოგიაში. ცნობილმა იტალიელმა მეცნიერმა პროფესორმა პეტუჩიმ ლექცია წაიკითხა სტუდენტებს. მან განსაკუთრებით ილაპარაკა პროფესიულ ტექნიკურ მუშაობაზე, რომელსაც უნდა ეწეოდნენ ახალგაზრდა მეცნიერები. მაგრამ საუბარი კონფერენციის შორს გასცდა ამ თემის ფარგლებს.

მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა ადგილი უნდა დაიკავონ ახალგაზრდა მეცნიერებმა თანამედროვეობის მთავარი სოციალური პრობლემების გადაჭრაში. იტალიელი პროფესორის მთავარი ოპონენტი იყო ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერი, ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომელი ვიაჩესლავ შოტაკოვსკი, რომელიც მგზნებარედ მოუწოდებდა, რომ ახალგაზრდა მეცნიერები მედიდოდნენ არა მისიონერებად, როგორც პეტრუჩი მოითხოვდა, არამედ მებრძოლებად.

• • •

დიდი ხნით ადრე, სანამ დაიწყებოდა ფესტივალის სტუდენტთა კონფერენცია, მიძღვნილი საპალეტაბორისო ფრენისადმი, სტუდენტთა კლუბის ახლოს შეიკრიბა ხალხი. და აი გრანტის კიბეებთან გაჩერდა მანქანა. მოვიდა კოსმონავტი იური გაგარინი. მას უძნელდება აეტომობილიდან გამოსვლა, გარს ეხვევიან ქალიშვილები და ჰაბუკები, ხელს უწვდიან ჩამოსართმევად. ცდილობენ სამახსოვროდ გადასცენ თავიანთი დელეგაციის ნიშანი, მადლობა უთხრან იმისათვის, რომ ფესტივალზე ჩამოვიდა.

...კონფერენციას ხსნის ფილელი ასტრონომი რიანო ლეტი. ინტერესით უსმენენ სტუდენტები ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს აკადემიკოს ლ. ი. სედოვს.

სტუდენტები რამდენიმე წუთს ამდგარი მიესალმებიან ტრიბუნაზე ვამოსულ იური გაგარინს.

— მეგობრებო, — მიმართავს იგი ახალგაზრდობას. — მე იმიტომ ჩამოვედი თქვენთან, რომ ჩემთვის მახლობელია ფესტივალის იდეები, იმიტომ, რომ ყველა ადამიანის მეგობრობა სასიცოცხლოდ საჭიროა არა მარტო დედამიწაზე, არამედ კოსმოსშიც.

გაგარინი უამბობს დამსწრეთ, თუ როგორ ემზადებიან საბჭოთა კოსმონავტები ახალი ფრენისათვის.

— ჩვენი წარმატებანი კოსმოსის თვისებაში, — აცხადებს გაგარინი, მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, და



ამიტომ კვლევის შედეგები ჩვენ ვაცნობებთ მრავალ ქვეყანას.

მე არ მინდა გაგიუსამართლო თქვენი სასიხარულო შეხვედრები, — მაგრამ მაინც ვიტყვი, თუ რა საშიშრება მოელის კოსმონავტებს კოსმოსში ატომური იარაღის აფეთქების გამო, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა. ამაზე ილაპარაკეს ამერიკელმა კოსმონავტებმაც, რომლებიც, სამწუხაროდ, არ ჩანდნენ ფესტივალზე. თუმცა ჩვენ მოველოდით მათ ჩამოსვლას. მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ატომური იარაღის აფეთქებებმა კოსმოსში შეიძლება ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს კოსმონავტზე ფრენის დროს, თუნდაც ეს ფრენა წარმოებდეს აფეთქებიდან დიდი ხნის შემდეგ. ჩვენ ზომ კიდევ უნდა ვიფრინოთო, —მიმართავს კოსმონავტი სტუდენტებს, — ჩვენ მოგველიან მთვარე, ვენერა, მარსი! ჩემი ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი სურვილია გავფრინდე კოსმოსში სხვა ქვეყნების კოსმონავტებთან ერთად!

ნ. ჟელეზნოვი,
საკადესის სპეც. კორ.

ჰელსინკი.

• • •

საბჭოთა დელეგაციის წევრი, მოსკოვის ესტრადის მსახიობი ალა სავენკო თავის მოსამართს უწერს ბლოკნოტებში ახალ ნაცნობებს.

ფოტო „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტების ს. კოსირევისა და მ. კუზტარევისა.

დედამიწაზე მშვიდობისა და გედნიერების გარანტია

რანგუნი, საკადესის კორესპონდენტი ა. ვლასოვი იუწყება: სათაურით „სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული შედეგები“ გამომცემლობა „ტირიმ“ ბირმულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოუშვა სკკპ პროგრამის ტექსტი.

სკკპ პროგრამა თარგმნილი ბირმულ ენაზე საბელეწიფოო „სიუზვის საზოგადოების ამენების პროგრამა“ გამოუშვა აგრეთვე გამომცემლობა „აღმოსავლეთმა“, ორი გამოცემის საერთო ტირაჟია 8 ათასი ცალი.

დღეს თქვენი კორესპონდენტი იყო რანგუნის რვა წიგნის მაღაზიაში. გამყიდველები აღნიშნავენ, რომ პროგრამაზე ეი ფილ მოთხოვნაა. ერთ-ერთი მაღაზიის დირექტორმა უ ხლა პეიმ გვიამბო: „ჩვენ გვაქვს 100 სხვადასხვა სახელწოდების წიგნები. მათგან ყველაზე პოპულარულია ბროშურა, რომელიც შეიცავს პროგრამის ტექსტს. ოთხ დღეში ჩვენ გავყიდეთ ათასზე მეტი ცალი“. განაცხადა ამ ბროშურაზე კვლავ მოდის ტატხოუკიდან, პრომედან, მემიოდან, მანდალაიდან და ბირმის სხვა ქალაქებიდან.

დიდძალი ხალხია წიგნის დახლებთან. მე, ისე როგორც ბევრი რანგუნელი, ამბობს ერთ-ერთი მყიდველი, გავეცანი პროგრამის ტექსტს. იგი გამოქვეყნდა ბირმის გაზეთებში. მინდა ერთხელ კიდევ წავიკითხო ეს პროგრამა, რომელიც დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს ჩვენში იმიტომ, რომ ეხება იმას, რაც ყველაზე ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, ყველა ქვეყნის ხალხებისათვის — მშვიდობას. პროგრამა დედამიწაზე მშვიდობისა და ბედნიერების გარანტიაა.

ტრაგედია, რომელიც შუქს ფენს „სიკვდილის ფაბრიკას“

ლონდონი, საკადესის კორესპონდენტი ე. კორეევი იუწყება: „გამოუცნობი სიკვდილი ბაქტერიოლოგიური იარაღის ფაბრიკაში“, „მეცნიერი, შესაძლოა, შავმა ჭირმა მოკლა“, — ასე სენსაციურად დღეს ინგლისის პრესამ გაფმოსცა, რომ მოკვდა ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი სამხედრო სამინისტროს სიიდუმლო ბაქტერიოლოგიური საკვლევი ცენტრისა პორტონ-დაუნსში (ულტშირი), სოლსბერის მახლობლად.

პორტონ-დაუნსის „სიკვდილის ფაბრიკის“ პირქუში კედლების გადაღმა მიმდინარეობს მზადება ყველაზე მომაკვდინებელი ბაქტერიების მეიდანებელი ბაქტერიებია — მათ შორის შავი ჭირის, ცოფბირის წყლულის, ტულარემიის დახმარებით ომის წარმოებისათვის, მისი არსებობის 17 წლის მანძილზე ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ ცოტა რამ არის ცნობილი მკაცრად დაცულ საიდუმლეობათა შესახებ.

ამიტომ, როცა ლაბორატორიის თანამშრომელი ჯეფრი ბეკონი ავად გახდა და ორი დღის შემდეგ მოკვდა — ეს მოხდა 1 აგვისტოს, — პირველ მოქენში ხელისუფლებს, როგორც ჩანს, სურდათ მიეჩქმალათ ეს შემთხვევა. მაგრამ ბეკონის სიკვდილის ამბები ისე გახმაურდა, რომ ამის დამალვა შეუძლებელი იყო.

ბეკონის სიკვდილის მიზეზები ჯერჯერობით არ არის დადგენილი, მაგრამ როგორც ნათქვამია სამხედრო სამინისტროს განცხადებაში, „მისი სიკვდილის გარემოება საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ სიკვდილი გამოიწვია ლაბორატორიაში მიღებულმა ინფექციამ“. პრესა აღნიშნავს, რომ სიკვდილის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო შუა საუკუნეების შავი ჭირი.

ინგლისის პარლამენტი დაითხოვეს საზაფხულო არდადეგებზე

ლონდონი, 4 აგვისტო (საკადესი). ინგლისის პარლამენტი დაითხოვეს საზაფხულო არდადეგებზე 25 ოქტომბრამდე. თემთა პალატის საბოლოო სხდომაზე გაიმართა მოკლე კამათი „საერთო ბაზართან“ ინგლისის შეერთების საკითხზე. პარლამენტის მთელმა რიგმა წევრებმა — ლეიბორისტებმა და კონსერვატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს აქცია დამლუპაველ გავლენას მოახდენს ინგლისის ურთიერთობაზე ერთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

ბევრი პარლამენტარი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „ექვსეულმა დაბუნდ პოლიტიკურ-ეკონომიურ ბლოკთან ინგლისის შეერთებას უმნიშვნელოვანეს საკითხზე მოლაპარაკების ვადამწყვეტი ეტაპი გაიმართება პარლამენტის არდადეგების დროს, ესე იგი ფაქტიურად ინგლისის საზოგადოებრიობის ზურგს უკან.

მანამ საქმის გამოძიება წარმოებს, რომდენიმე ლაბორატორია დაბურტლია დეზინფექციისათვის, გარშემო მყოფებთან ურთიერთობისაგან იზოლირებულია ყველა ადამიანი, რომლებიც უკანასკნელ დღეებში ხვდებოდნენ ბეკონს — საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი, სადაც იგი მოკვდა, ოჯახი. საფრთხეს ის აღრმავებს, რომ მისი ცოლი მუშაობდა მეზობელი სკოლის სასადილოში და შეეძლო ინფექცია გადაედო ბავშვებისათვის, რომლებიც ამ დღეებში დაითხოვეს არდადეგების გამო.

როგორც განაცხადა დღეს ინგლისის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა, ჯ. ბეკონი გარდაიცვალა ფილტვების შავი ჭირისაგან.

ლონდონი. (საკადესი). ინგლისის სამხედრო სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება შექმნას სპეციალური კომისია რათა გამოიძიოს 1 აგვისტოს ფილტვების შავი ჭირისაგან გარდაცვლილი ჯეფრი ბეკონის — ინგლისის პორტონ-დაუნსის სამხედრო ბაქტერიოლოგიური საკვლევი ცენტრის თანამშრომლის — დაავადებისა და სიკვდილის გარემოებანი. კომისია დახურულ კარებში იმუშავებს.

საადგენტოთა ცნობებით, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილონ ამ საშინელი სენის გავრცელების შესაძლებლობა. დაახლოებით 40 კაცი, რომლებსაც უკანასკნელ დროს ურთიერთობა ჰქონდათ ბეკონთან, იზოლირებულია და გულდასმით კონტროლს ექვემდებარება. მათ უცრიან ანტიბიოტიკებს.

ბაქტერიოლოგიური საკვლევი ცენტრი, რომელშიც ბეკონი მუშაობდა, განლაგებულია პორტონ-დაუნსში, ხუთ მილზე ქალაქ სოლსბერიდან (სამხრეთ ინგლისი). ამ საგულდაგულოდ დაცული „სიკვდილის ფაბრიკის“ ლაბორატორიებში მიმდინარეობს მზადება ყველაზე მომაკვდინებელი ბაქტერიების გამოყენებით ომის წარმოებისათვის. როგორც საადგენტოები იუწყებიან, ზოგიერთ სახეობათა ბაქტერიის რამდენიმე ათეული გრამი მასაზრდოებელ გარემოში. რაზეც ცდები წარმოებდა, საკმარისი იყო მთელი რიონების გასაჩანაგებლად.

ფილტვების შავი ჭირი ყველაზე საშიშია ამ ავადმყოფობის ყველა სახეობიდან, იგი თითქმის ყოველთვის სიკვდილს იწვევს. XIV საუკუნეში „შავმა სიკვდილმა“, როგორც მაშინ უწოდებდნენ შავ ჭირს, ევროპის მცხოვრებთა სამი მეოთხედი დახოცა.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, სამშაბათი,
7 აგვისტო, 1962 წ.

ავთვისებიან სიმსივნეთა პროფილაქტიკა

კიბო დამარცხებული იქნება

მოსკოვში 1962 წლის 22-28 ივლისს მიმდინარეობდა კიბოს საერთაშორისო VIII სანერთაშორისო კონგრესი, რომელზეც განხილულ იქნა კიბოს თავიდან აცილების ყველაზე აქტუალური პრობლემები, ავრცელებენ ვიცილების ზოგიერთ ... ...

**ამ ... ...